პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 იანვარი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 24 (14934)

ფართო გზა ახალგაზრდობის თაოსნობას!

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას.

ბაითაც უნდა გაიხედო, მკითხველო, სადაც კი მისწვდება შენი მახვილი თვალი, ყველგან დაინახავ სასიკეთო გარდაქმნებსა და ფერისცვალებას. ეს საბჭოთა ადამიანების შრომისა და გარჯის ნაყოფია. და ყოველივე ამაში ცოტა დამსაბუერება როდი მიუძღვის ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, მის ავანგარდს — ლენინურ კომკავშირს.

დღეს ლენინური კომკავშირისათვის არ არსებობს უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ის, რომ მშობლიური პარტიის XXIV ყრილობაზე მივიდეს კიდევ უფრო მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით, უპატაკოს მას ახალი სასახელო წარმატებანი შრომასა და სწავლაში.

საქართველოს კომკავშირი ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. სახელოვან ტრადიციებს რომ აგრძელებენ, რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები შემოქმედებითად იღვწიან, მუდმივ ძიებაში არიან, რომ რაც შეიძლება მეტი შექმნან თავიანთი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სრულიად საკავშირო ლენინურ ჩათვლაში — „ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ“, რომელიც ეძღვნება პარტიის XXIV ყრილობას. ლენინური ჩათვლის პირველი ეტაპი გასული წლის ოქტომბერში დამთავრდა, გამოავლინა ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი პასუხისმგებლობა, მისი ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი.

ყველგან, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მთელი ძალით გაჩაღდა წინასაყრილობო და წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. იგი მიმდინარეობს დევიზით: **გაღვივაქციოთ ყოველი ყრილობისწინა დღე დაკვრელური მუშაობისა და ფრიადზე სწავლის დღედ.** ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, რუსთავს, ფოთსა და სხვა ქალაქების საწარმოთა ახალგაზრდა მუშებმა.

თავიანთი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდებმა, რომლებმაც კარგი შედეგებით დამთავრეს გასული წელი და მნიშვნელოვნად გაზარდეს ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხილის, ბოსტნეულის, მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

ახალი აღმავლობით დაიწყეს შრომა შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა.

ამჟამად წინასაყრილობო და წინასაიუბილეო დამკვრელურ ვახტზე დგას 4.500-მდე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რგოლი და საამქრო.

მაგრამ ჩვენმა კომკავშირელებმა, ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ ვალდებულებათა აღება საქმის მხოლოდ დასაწყისია, რომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ, ოცცხალ შემოქმედებითს მუშაობას. ამასთან მარტო მოძველებული ფორმებითა და მეთოდებით როდი გაიკვლევ წინგზას, საჭიროა ახლის ძიება, ინიციატივა, თაოსნობა... — „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას“.

ნამდვილი ენთუზიაზმით მიმდინარეობს ესტაფეტა დამკვრელური მშენებლობებისა, რომლებსაც შეფობას უწევდა და უწევს რესპუბლიკის კომკავშირი. სულ ახლახან ფართო გამოხმაურება ჰპოვა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივამ ტექნიკური შემოქმედების განვითარებისა და თანამედროვე ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დაუფლების საქმეში. უკვე მასობრივი გახდა კონკურსი „საუკეთესო თავის პროფესიაში“, რომელშიც სხვადასხვა სპეციალობის 12 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობს.

რესპუბლიკის ახალგაზრდობაში მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ელმავალსაშენებლო ქარხნის, კამოლ-მაუდის კომბინატის, სატელეგრაფო აპარატების ქარხნის კომკავშირელთა ინიციატივამ — სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღეს მხოლოდ დაზოგილი ნედლეულით იმუშაონ. სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ისეთი წამოწყება, როგორიც არის „კომკავშირული გარანტია“. იგი ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

ამ და სხვა მრავალ ინიციატივას, რომელიც კომკავშირულ ორგანიზაციებში იბადება, მზრუნველობითა და უურადღებით ეკიდებიან პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, კომუნისტები. ეს გასაგებიც არის. ისევე, როგორც ახალჩაყრილ ნერგს მოვლა და ზრუნვა სჭირდება, რომ ღრმად გაიდგას ფესვი და შემდეგ მწვანედ დაიფოთლოს, ყოველ სასარგებლო წამოწყებას, ინიციატივასაც დროული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.

გასული წლის შემოდგომაზე ახალციხის რაიონის ახალგაზრდა მებაღეებმა გადაწყვიტეს აღადგინონ და განაგრძონ ტყე-ბაღების გაშენების მამა-პაპათა კარგი ტრადიცია. მათ მოწოდებით მიმართეს სხვა ახალგაზრდებს, რომ რაიონის ტყეებში, ქარსაცავ ზოლებში და სოფლების გარშემო მინდვრებში, — იქ, სადაც უხვად არის გარეული ხეხილი, დაამყონონ 20 ათასამდე ძირი მეხსური ჯიშის ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ქლიავი, გააშენონ ბაღი 8 ჰექტარზე, ჩაყარონ 18 ათასი ძირი ვაზი. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეობათა და საწარმო-დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელებმა. ამიტომ მობდა, რომ სულ მალე ინიციატივა პრაქტიკულ საქმედ იქცა. რაიონის ახალგაზრდობა თავის დანაპირებს ასრულებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო მუდმივი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარებაა. ამ სამი კვირის წინათ აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე გულისტკივილით ითქვა: ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“, ხულოს რაიონის თხილვანის, ქედის რაიონის მეძიანის კოლმეურნეობებს პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომკავშირისადმი დახმარებას მხოლოდ ბიუროს რომელიმე წევრის მიმაგრებით ამოწურავენ.

ხდება ისეც, რომ ახალგაზრდობის მოთხოვნებსა და სურვილებს უყურადღებოდ ეკიდებიან. ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია 300-ზე მეტ წევრს აერთიანებს. სოფლის ახალგაზრდობის ძალებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უმეტესი ნაწილი. მაგრამ ახალგაზრდობა უკმაყოფილოა იმით, რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ცამეტი წლის წინათ დაწყებული სპორტული მოედნის მშენებლობის დამთავრება. კომკავშირის კომიტეტს სათანადოდ არ ეხმარებიან სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობაშიც.

ახალგაზრდობასთან მუშაობა მარტო კომკავშირის საქმე როდია. იგი თვითეული კომუნისტის, წარმოების ყოველი ხელმძღვანელის, თვითეული პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი საზრუნავია. სწორედ ასეთმა ზრუნვამ, ყურადღებამ უნდა განაპირობოს, რომ ჩვენი კომკავშირელების, ახალგაზრდობის სასარგებლო თაოსნობამ, ინიციატივამ, წამოწყებამ ფრთები შეისხას და კეთილ საქმედ გადაიქცეს.

ეს კეთილი საქმეები კი, ერთად შეერთებული, კვლავ ახალ ფურცელს ჩაწერს ლენინური კომკავშირის სახელოვან ისტორიაში.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი

ლევრი ახალგაზრდა კომუნისტი მონაწილეობს კომკავშირული ორგანიზაციების მრავალფარე ცხოვრებაში. ერთ-ერთი იმათგანია ციხანამი დოლიძეც. ბეჭითი მეჩაიე, ჩოხატაურის რაიონის შუა განახლების კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელთა წინამძღოლი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო სოფელში, არამედ მთელ რაიონში. გასულ წელს მან ხუთი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. თავიანთი წინამძღოლის მაგალითით შრომობენ კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეები. მარტო კომკავშირელებმა შარშან 100 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული მოკრიფეს.

მოწინავე ახალგაზრდა ამას წინათ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კპ XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: ჩოხატაურის რაიონის შუა განახლების კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი ც. დოლიძე.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის ახალგაზრდობის ხელმძღვანელი

ახალგაზრდობა საყრილობო ვალდებულებებს ბრიგადირითა

მკერავებმა დროს გაუსწრეს

სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. აბრამია, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ყოფიანი) კოლექტივი. მკერავებმა მეცხრე ხუთწლედის პირველი თვის — იანვრის დავალება 27 რიცხვისათვის გაანაღდეს. თვის ბოლომდე მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწვდიან 130 ათასი მანეთის პროდუქციას.

ფაბრიკაში ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ისინი ერთიმეორეს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ მშობლიური პარტიის მომავალ ყრილობას ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ. ამ შრომითს ბრძოლაში დაწინაურდა ლენინურ-კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ლ. გოზალიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ იანვრის დავალება 25 რიცხვისათვის 109 პროცენტით გაანაღდა. შრომაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ც. ბუშვილმა, ე. ბესტავაშვილმა, ნ. სურმავამ, მ. მაისურაძემ და ე. გედევანიძემ.

ვახტზეა ქალიშვილების ბრიგადა

ჟუთაისი. (საკ. კორ.). წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას ტრიკოტაჟის ფაბრიკის სამკერვალო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც 32 ქალიშვილს აერთიანებს. ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ 25 მარტს შეასრულოს პირველი კვარტალის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 12 ათასი მანეთის პროდუქცია.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელის ნ. მიქაუტაძის ინიციატივით გაჩაღდა მოძრაობა იმისათვის, რომ თვითეული მუშა ორ საკერავ მანქანას მოემსახუროს. ბრიგადირის მაგალითს უკვე მიბაძეს ნ. კოხრეიძემ, მ. კოპალეიშვილმა, ნ. ცხოვრებოვამ.

ეს მზადდება შორაპანში

შორაპანი. (საკ. კორ.). ელექტროელემენტების ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლა.

განსაკუთრებით კარგ წარმატებებს აღწევენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. ყველას გაუსწრო და შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა ბატარეების ამწყობ კონვეიერზე მომუშავე რ. ავალიანის ბრიგადა, რომელმაც იანვრის დავალება 27 რიცხვისათვის გაანაღდა. ბრიგადის გადაწყვეტილებაა თვის ბოლომდე მომხმარებელს გეგმის გადამეტებით გაუგზავნოს 20 ათასი ელექტროელემენტი. ასევე წარმატებით შრომობს კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ა. მესხიშვილი ხელმძღვანელობს. შრომაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კომკავშირელები ც. ჩინჩალაძე, ა. გაჩეჩილაძე, ტ. ამანათიდი.

სუვენირების ოსტატები

სოხუმი. (საკ. კორ.). დიდი სიყვარული და პატივისცემა დამძსახურა სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკის ნ. კურჩენკოს სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც დალი ჭაავა ხელმძღვანელობს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მეორე საამქროს 17 გოგონა შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა, დიდი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. ბრიგადის თითქმის ყველა წევრი კარგად შრომობს და სწავლობს კიდეც.

ბრიგადამ წარმატებით დაიწყო ახალი წელი. იანვრის დავალება ვადაზე ადრე 130 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ასრულებს საწარმოო დავალებას. ბრიგადის თითქმის ყველა წევრი კარგად შრომობს და სწავლობს კიდეც.

ბრიგადამ წარმატებით დაიწყო ახალი წელი. იანვრის დავალება ვადაზე ადრე 130 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით გაუგზავნა ათასობით მანეთის სხვადასხვა სუვენირები.

განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ბრიგადის წევრები საქართველოს კპ XXIV ყრილობის დელეგატი ი. გულარია, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი დ. ყურაშვილი, ზ. ელიავა, მ. შონია, ზ. ნაუშნკო, გ. გუგუჩია, ი. გოლუბაია.

კომკავშირელები აქტიურობენ

ბასპის რაიონის ქვემო გომის კოლმეურნეობის კომკავშირელები კოლმეურნეებთან ერთად კარგად იყენებენ ზამთრის დღეებს იმისათვის, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს მოუმზადონ ჯანსაღი ტექნიკა, მოიმარაგონ ყველა სახის კონდიციური თესლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომკავშირელი მექანიზატორი მიხეილ ელისაბედაშვილი. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობის 4 ტრაქტორს უკვე გაუკეთდა რემონტი. შეკეთებული ტრაქტორებით ახლა ამზადებენ ნიადაგს საგაზაფხულო კულტურების დასათესად.

ვენახებსა და ბაღებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მწკრივთა შორის ხვნა. კომკავშირელი მექანიზატორი რ. ნატროშვილი ვენახში მწკრივთა შორის ნიადაგის ხვნის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

მეჭარხლე ახალგაზრდა კოლმეურნეები თამარ მჭედლიშვილი, ვახტანგ კაციშვილი, ეთერ ნაბახტეველი, ეთერ ადაპიშვილი ჭარხლის ღასათესად ნიადაგს ხნავენ, სასუქი შეაქვთ.

ქვემო გომის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები აგრონომიაში შეასრულონ, მოიყვანონ ხორბლის, სიმინდის, ჭარხლის უხვი მოსავალი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტები. („კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

28 სანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო მორიგი ინფორმაციის დღე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ცეცეშვილმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება რესპუბლიკაში მშენებლობის დაგეგმვის პერსპექტივების შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე ანტიკომუნისტური პროპაგანდის ძირითად მიმართულებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგემ ა. მახარაძემ. (საქდესი).

სასოფლო და სადაბო საბჭოები დიდი პოლიტიკური და მაორგანიზებელი ძალაა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ თათბირზე

ამხანაგებო! მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ თათბირს, რომელიც გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს.

თათბირი განიხილავს დიდმნიშვნელოვან საკითხს — თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმომადგენლობითი თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თითქმის ყველა თავმჯდომარე, ჯერ საერთოდ არ გამართულა. ეს მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანოების საქმიანობას.

კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ზრუნავდნენ საბჭოების ყველა რგოლის მუშაობისათვის და დიდ ყურადღებას უთმობდნენ, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო და სადაბო საბჭოებს — ხელისუფლების ყველაზე მასობრივ ორგანოებს, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნებას.

პარტიის XXIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში, რითაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ამ ორგანოების საქმიანობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის დადგენილებამ, რომელმაც საბჭოებს დაუსახა ახალი ამოცანები, გააფართოვა მათი უფლებანი და მოვალეობანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შექმნა მათი საქმიანობის მძლავრი მატერიალური საფუძვლები.

როცა ვაჯამებთ სასოფლო და სადაბო საბჭოების სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ გაწეული მუშაობის შედეგებს, არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გასული ხუთწლედის შედეგებს, რომლის დავალებათა შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო და სადაბო საბჭოები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1966-1970 წლებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ გრანდიოზული წარმატებანი მოიპოვა. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ვითარდებოდნენ მნიშვნელოვნად უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მიღწეული იყო წინა ხუთწლედში.

მერვე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი ზრდის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე.

ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ისევე როგორც მთელმა საბჭოთა კავშირმა, ჩვენმა რესპუბლიკამაც დიდი წარმატებანი მოიპოვა 1966-1970 წლებში. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი — როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობაც — ვითარდებოდა ხუთწლიანი გეგმით დასახული დავალებების შესაბამისად. წარმატებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები. გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის თითქმის ყველა დავალება. ყოველივე ეს წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების, პრაქტიკაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგია.

მაგრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, წარმატებებთან ერთად ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ რეზერვებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფთ ცალკეული დარგების განვითარების მაღალ ეფექტიანობას. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ნაკლოვანებებს.

თავის მოხსენებაში ამხ. ჯავახიშვილმა დიდი ადგილი დაუთმო იმ ღონისძიებებს, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებმა განახორციელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის დადგენილების შემდეგ მუშაობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფისათვის.

ჯერ კიდევ 1967 წლის აპრილში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილა ადგილობრივი და, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სისტემატურად განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის საკითხებს და ახორციელებენ ღონისძიებებს მისი შემდგომი სრულყოფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაძლიერების საკითხს. 1970 წლის დამლევისათვის აშენდა და რეკონსტრუირებულია 124 სასოფლო და სადაბო საბჭოს შენობა, სხვადასხვა ორგანიზაციამ მათ გადასცა 84 კეთილმოწყობილი შენობა. კაპიტალურად შეკეთდა სასოფლო და სადაბო საბჭოების 122 შენობა, შენდება კიდევ 90 შენობა. ამრიგად, 392 სასოფლო და სადაბო საბჭოდან, რომლებიც პატარა შენობებში მუშაობენ, 275 უახლოეს დროში უზრუნველყოფილი იქნება კეთილმოწყობილი შენობებით. სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის შეძენილია ავეჯი და ინვენტარი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მათ გამოუყო ავტომანქანები, მოტოციკლები და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის, და უახლოეს დროში შეძლებისდაგვარად სასოფლო და სადაბო საბჭოებს დამატებით გამოუყოფენ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და ტრანსპორტს, განსაკუთრებით იმ საბჭოებს, რომელთა მოსახლეობა დიდ ტერიტორიაზეა განლაგებული.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, თქვა მომხსენებელმა, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გააქტიურდა სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობა. ახლა ისინი უკეთ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, უფრო სრულად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად. საბჭოები და მათი აღმასკომები მეტ ინიციატივას იჩენენ საგეგმო და საფინანსო საკითხების, მიწათსარგებლობის, მოსახლეობის კულტურის, ყოფა-ცხოვრების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისას.

სასოფლო და სადაბო საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის გაუმჯობესებას ბევრად უწყობს ხელს სასოფლო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგებს უკვე მესამე წელია აჯამებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და რესპუბლიკის პროფსაბჭო.

ეს ფართო მოძრაობა დიდი სტიმულია საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

უმჯობესდება სასოფლო და სადაბო საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანიზატორული მუშაობის სტილი და მეთოდები.

ამხ. ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში შეეხო იმ საბჭოების საქმიანობას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი.

ზემო მაჩხაანის მშრომელთა დეპუტატების საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ა. პაპაჩაშვილი), თქვა მან, ზრუნავს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ ეკონომიკის განვითარების, მეურნეობის დაგეგმვისა და გეგმების შესრულების საკითხებს. სასოფლო საბჭოსა და მისი დეპუტატების დახმარებისა და ხელშეწყობის შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ. გაიზარდა მარცვლეულის, ყურძნის, ხორცის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გაუმჯობესდა მეურნეობის ეკონომიური მაჩვენებლები. 1969 წელს წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულება 5.855 ათასი მანეთი იყო. წმინდა შემოსავალი აღემატებოდა 2.109 ათას მანეთს, საიდანაც საზოგადოებრივ ფონდებში გადარიცხეს 601 ათასი მანეთი. მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებით დაამთავრა კოლმეურნეობამ საიუბილეო, 1970 წელიც. საბჭოს ინიციატივით გამგეობამ კოლმეურნეობის სახსრებით ბევრი რამ გააკეთა სოფლის კეთილმოწყობისათვის, სახალხო განათლებისათვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნეობის სახსრებით აშენებული სოფლის კულტურის სახლი, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი, საექიმო პუნქტი და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რომელმაც 1969 წლის ივნვარში განიხილა ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს საქმიანობის საკითხი და აღნიშნა მუშაობის საერთო გაუმჯობესება, ყურადღება გაამახვილა არსებულ ხარვეზებზე და საბჭოს დაავალა გარკვეული ღონისძიებანი განეხორციელებინა მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სოფლის ეკონომიკის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს ნატანების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ი. ბოლქვაძე), რომელიც გამარჯვებულია სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების შეჯიბრებაში. ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა წარმატებანი, რომლებიც მის ტერიტორიაზე მდებარე ლენი-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სასოფლო და სადაბო საბჭოები დიდი პოლიტიკური და მაორგანიზებელი ძალა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

ნის სახელობის კოლმეურნეობამ მოიპოვა ჩაის, ციტრუსების, ტუნგისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში. საზოგადოებრივ შრომაში აქტიურად მონაწილეობს ყველა კოლმეურნე. 1969 წელს კოლმეურნეობის თვითეულმა შრომისუნარიანმა წევრმა საშუალოდ გამოიმუშავა 218 კაცდღე. 335 ჰექტარი ჩაის ტლანტაციის თვითეული ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.700 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი, ტუნგის საშუალო მოსავალი შეადგენს 89 ცენტნერს, სიმინდისა — 23 ცენტნერს და ა. შ. ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია.

კოლმეურნეობის გამგეობა და სასოფლო საბჭო ზრუნავენ კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შედგომი გაუმჯობესებისათვის. მარტო 1969 წელს ამ მიზნით კოლმეურნეობამ 200 ათას მანეთზე მეტი დახარჯა. საკუთარი სახსრებით აშენა საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, ბანაობი, დასასვენებელი სახლი, სპორტული მოედანი და სხვ. კოლმეურნეობის ფინანსური მდგომარეობა მტკიცე იყო 1970 წელსაც. იგი დროზე უნაზღაურებს შრომას კოლმეურნეებს, ავსებს სხვადასხვა ფონდებს.

ჩვენში ბევრია სხვა დადებითი მაგალითები. ავიღოთ თუნდაც გორის რაიონის ტყვავის სასოფლო საბჭოს (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ზ. რაზმაძე) საქმიანობა. სასოფლო საბჭო ერთიანებს ოთხ სოფელსა და ორ კოლმეურნეობას. მის ტერიტორიაზე მუშაობენ ხილის ჩვენის, რძის პროდუქტების, შამპანური ღვინის მასალის გადამმუშავებელი საწარმოები და სხვ. ტყვიავის და ფლავის კოლმეურნეობებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 1970 წელს. მათ წარმატებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების წარმოებისა და დაზრდაზე გეგმა და ვალდებულებანი.

1968 წლის მარტში ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სესიაზე მიღებულ დადგენილება სოფლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების კეთილმოწყობის შესახებ და შესაბამისი მოწოდებით მიმართა მოსახლეობას.

სასოფლო საბჭოს ინიციატივით შედგენილი და დამტკიცებულია სოფლად მშენებლობის პერსპექტიული გეგმა. კოლმეურნეობათა სახსრებით აშენდა საშუალო და დაწყებითი სკოლები, ამბულატორიები, საბავშვო ბაღები და ბაგები, საავადმყოფო, აფთიაქი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა ობიექტები.

ტყვიავი გორის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი, ლამაზი და დიდი სოფელია, რაც დიდად არის განპირობებული სასოფლო საბჭოს, მისი აღმასკომისა და დეპუტატების მრავალმხრივი საქმიანობით.

კარგი მუშაობის, დაკირებული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების მაგალითს გვიჩვენებს ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის სასოფლო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. გ. კაკაძე). აღმასკომი სისტემატურად განიხილავს კოლმეურნეობათა მიერ საწარმოო გეგმების შესრულების საკითხებს, ფართოდ იყენებს სამეჯიტო უფლებებს, დამატებითს სახსრებს ახმარს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს და სხვ. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკის, საკოლმეურნეო ფონდების უკეთ გამოყენებას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სოფლის კეთილმოწყობას, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ქობულეთის რაიონის ხუციუბნის და სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები (აღმასკომების თავმჯდომარეები ამხ. გ. მ. დუმბაძე და ამხ. ბ. გ. ჯალიაშვილი). არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობაში აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონის შედეგად სოფელ ძველი ანაგის ტერიტორიაზე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი სერიოზული შემთხვევა.

დიდი გამოცდილება შეიძინეს სადაბო საბჭოებმაც, რომელთა ტერიტორიაზე მუშაობენ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, არამედ საკავშირო დაქვემდებარების ქარხნები და ფაბრიკებიც.

დადებითი შეფასების ღირსია გარდაბნის რაიონის სამგორის სადაბო საბჭოს (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ნ. ყარყარაშვილი) მუშაობა. მის ტერიტორიაზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტები წარმატებით ასრულებენ გეგმის დავალებებსა და ვალდებულებებს. კარგად იშრომეს რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ასრულებენ ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნის დამზადებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმებს. კარგი მაჩვენებლები აქვთ გარდაბნელ მეცხოველეებსაც.

მე აქ მოვიყვანე რამდენიმე სასოფლო და სადაბო საბჭოს დადებითი მუშაობის მაგალითები, თქვა მომხსენებელმა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სხვა სასოფლო და სადაბო საბჭოებს არ ჰქონდეთ ასეთივე მაღალი წარმატებანი. მათი უმრავლესობა საქმის დიდი ცოდნით ერკვევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ყველა სფეროში, მათი ყურადღების ცენტრშია კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები. საბჭოები და მათი დეპუტატები საქმის ცოდნით გამოდიან წმინდისეულად წამოწყებათა ინიციატორებად და განმახორციელებლებად.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა, რომ წარმატებებთან ერთად სასოფლო და სადაბო საბჭოების, მათი აღმასკომების, დეპუტატებისა და აქტივის მუშაობაში ჯერ კიდევ არის გარკვეული ნაკლოვანებანი, ხარვეზები.

გასული წლის დამლევს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის დადგენილება, და წარმატებებთან ერთად სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობის ყველა დარგში გამოავლინა არსებითი ნაკლოვანებანი და დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სასოფლო, სადაბო საბჭოებსა და მათს აღმასკომებს ყველა შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე, მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე. თვითეული მათგანის ტერიტორიაზე არც ისე ბევრი მეურნეობაა, რომ შესაძლებლობა არ ჰქონდეთ ღრმად ჩასწვდნენ თვითეულის საქმეს. მაგრამ მოწინავე მეურნეობებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრია ეკონომიურად სუსტი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ამ ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეურნეობათა ხელმძღვანელებს და შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მაგრამ პასუხისმგებლობა არ ეხსნებათ არც სასოფლო და სადაბო საბჭოებს. ისინი არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ნაკლოვანებათა დროზე გამოსავლინებლად. საკმარისია ითქვას, მაგალითად რომ ჯერ კიდევ არ იყენებენ სრულად სახნავ მიწებს — ჩვენს ყველაზე დიდ სიმდიდრეს. რესპუბლიკაში მიწის სიმციარის პირობებში ეს სრულიად შეუწყნარებელია. ამაში განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი“ დმანისის, ასპინძის, თიანეთისა და სხვა რაიონებმა.

მთელ რიგ მეურნეობებს ჯერ კიდევ დაბალი ეკონომიური მაჩვენებლები აქვთ.

გუდაუთის რაიონის ჯირხვის სასოფლო საბჭოს ხარაზიას სახელობის კოლმეურნეობამ 1969 სამეურნეო წელი ზარალით დაამთავრა. მეტად დაბალია აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მეურნეობა დასპეციალებულია მეთამბაქოობაში. მიუხედავად ამისა, 1969 წელს 128 ჰექტარ პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6,7 ცენტნერი თამბაქო. მარტო თამბაქოს წარმოებაში კოლმეურნეობამ იზარალა 20 ათასი მანეთი. ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობაში 319 კილოგრამს არ აღემატება. მოგება 100 სულ ძროხაზე შედგენს მხოლოდ 56 ხბოს. ამის შედეგად ცენტნერი რძის თვითღირებულება აქ აღწევს 61 მანეთს, ხოლო ცენტნერი ძროხის ხორცისა — 477 მანეთს. გაუგებარია როგორ ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას სასოფლო საბჭო, მისი აღმასკომი და დეპუტატები

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის წარმოების საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ ახალქალაქის, წალკის, დმანისის, გეგეჭკორის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

სასოფლო და სადაბო საბჭოები ყოველთვის სათანადო ყურადღებით როდი ეკიდებიან საზოგადოებრივი წარმოების განვითარების, საზოგადოებრივ წარმოებაში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმის საკითხებს. შარშან 403 ათასი შრომისუნარიანი კოლმეურნეობიდან 3 პროცენტზე მეტს მონაწილეობა არ მიუღია საზოგადოებრივ წარმოებაში. ასეთი ფაქტები იყო ძირითადად ბოგდანოვკის, აბაშის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის რაიონებში.

ზოგიერთი კოლმეურნეობა, რომელსაც წმინდა შემოსავალი აქვს, არ ასრულებს კოლმეურნეობის წესდების მოთხოვნებს, სახსრები არ შეაქვს განუყოფელ ფონდებში.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უყურადღებოდ მიტოვებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ავტოტრანსპორტი. მანქანები, და მოწყობილობა დატოვებულია ღია ცის ქვეშ, უხარისხოდ და დაგვიანებით წარმოებს მათი რემონტი, ჯერ ისევ დაბალია გამოყენების კოეფიციენტი.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ თვითეულმა სასოფლო და სადაბო საბჭომ და მათმა აღმასკომებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა მეურნეობა და საწარმო ასრულებდეს დადგენილ გეგმებს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმა კანონია. ვერ შევურიგდებით იმას, რომ გეგმას ჯეროვნად არ აფასებდნენ, და მით უმეტეს არ ასრულებდნენ. გეგმის შეუსრულებლობა დიდ ზარალს აყენებს როგორც ცალკეულ მეურნეობებს, ისე მთელ სახალხო მეურნეობას.

სასოფლო და სადაბო საბჭოები დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მეურნეობაში თვალს აღევნებდნენ იმას, რომ უკეთ იყენებდნენ წარმოების საშუალებებსა და არსებულ მატერიალურ რეზერვებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უფრო სრულად ასრულებდნენ აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებებს, რომ მაღლდებოდეს სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა, უმჯობესდებოდეს შრომის ორგანიზაცია, მზადდებოდეს ხარისხოვანი პროდუქცია, მცირდებოდეს მისი თვითღირებულება.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ბრძოლა სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის. კანონების განუხრელად შესრულება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა წარმატებით მუშაობის მთავარი პირობაა. მიუხედავად ამისა ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდება სოციალისტური კანონიერების უხეშად დარღვევის ფაქტები. ავიღოთ თუნდაც ბუნების სიმდიდრეთა დაცვის და უწინარეს ყოვლისა მიწის რაციონალურად გამოყენების საკითხი. ამ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმეს სკკპ XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის მარტის, 1966 წლის მაისის და მომდევნო პლენუმებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთხელ განუხილავთ ბუნების დაცვის, მის სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენების საკითხი და დასახეს კიდევ კონკრეტული ღონისძიებანი. ბუნების დაცვისა და მიწათსარგებლობის კანონების შესრულება სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. მათ უნდა ჩაუნერგონ მშრომელებს ბუნებისადმი, მიწისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების გრძნობა. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩაებან დეპუტატები და სოფლის აქტივი.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სასოფლო, სადაბო და რაიონული საბჭო, აგრეთვე მათი დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიები და დეპუტატები ხშირად უგულებელყოფენ, უყურადღებოდ ტოვებენ მიწათსარგებლობის კანონისა და წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს.

მცხეთის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, დუშეთის, გალისა და სხვა რაიონების ბევრი სასოფლო და სადაბო საბჭო თვალს არ აღევნებს იმას, თუ როგორ იცავენ მიწათსარგებლობის კანონს, რის შედეგადაც არის ხოლმე უხეში დარღვევები. საცხოვრებელი სახლების ყიდვის საბაბით გვხვდება მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. ზოგჯერ მიწას ფლობენ პირნი, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან. მიწათსარგებლობის კანონი ირღვევა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონებშიც, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროს კოლმეტრნასეგრიან ზონაში, სადაც მიწის გამოყოფა არასაკურორტო მიზნებისათვის განსაკუთრებით რეგლამენტირებულია.

ამხ. ჯავახიშვილს მოჰყავს კანონების დარღვევის კიდევ მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ გუდავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მოქალაქეებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან და სოფელთან, საკოლმეურნეო მიწებიდან გამოუყვეს ნაკვეთები, რომელზეც მათ აიშენეს საცხოვრებელი სახლები — სააგარაკო სახლები, ბოლნისის რაიონის სოფელ ფასრალოსა და მთელ რიგ სხვა სოფლებში. ეს დარღვევები გამოავლინეს შესაბამისმა ორგანოებმა, და სასოფლო-სამეურნეო საგარეულები დაუბრუნეს კოლმეურნეობებს. მაგრამ ისმება სავსებით კანონზომიერი კითხვა — სად იყვნენ სასოფლო საბჭოები, მათი აღმასკომები, დეპუტატები და სოფლის აქტივი? რატომ არ მიაქციეს ყურადღება ამ დარღვევებს და დროულად არ აღკვეთეს ისინი?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 1970 წლის აპრილში გაიმართა, განიხილეს საკითხი მიწის კანონმდებლობისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიწის დაცვა, მისი დოგლათის გამრავლება თვითეული საბჭოთა ადამიანის, თვითეული მოქალაქის მოვალეობაა. ამიტომ ყველამ და პირველ რიგში იმან, ვინც უშუალოდ დაკავშირებულია ამ კანონმდებლობის განხორციელებასთან, უნდა გაიგოს, რომ დარღვევები ამ დარგში არავის არ ეპატიება, რომ ისინი ადრე თუ გვიან პასუხს აგებენ თავიანთი ქცევისათვის და დასჯიან კანონის მთელი სიმკაცრით.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკითხები. ამასთან უშუალოდ დაკავშირებულია ტყის გონივრული ექსპლოატაციის, მოვლისა და აღდგენის საკითხები.

ამ დარგში კარგი მუშაობით გამოირჩევიან ჩოხატაურის რაიონის ზემო სურების სასოფლო საბჭო, ბაკურიანის სადაბო საბჭო, ნაფარეულის სასოფლო საბჭო და სხვ. მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია. შეგვიძლია დავასახელოთ ვანის რაიონის ზეინდრის სასოფლო საბჭოს მაგალითი, რომლის ტერიტორიაზე 1969-1970 წლების მანძილზე უნებართვოდ გაჩეხეს და დაიტაცეს 366 ხე — 144 კუბური მეტრი ძვირფასი ჯიშის წაბლი. ასეთი რამ მომხდარა რესპუბლიკას სხვა რაიონებშიც.

სასოფლო და სადაბო საბჭოებმა მკეთრად უნდა გაუმჯობესონ მუშაობა ბუნების სიმდიდრეთა დაცვა და გამრავლებისათვის, — თქვა ამხ. ჯავახიშვილმა და თათბირის მონაწილეებს დაუსახა კონკრეტული ამოცანები ამ დარგში.

გვერდს ვერ აუვლელი კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს, განსაკუთრებით კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მიერ პირადი დამმარე მეურნეობის სარგებლობის საკითხში. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მკაცრად დაიცვან საკარმიდამო ნაკვეთისა და პირუტყვის სულადობის დადგენილი ნორმა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ ყოველნაირად დავეხმაროთ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობის მუშებს პირადი მეურნეობის განვითარებაში. სასოფლო და სადაბო საბჭოებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მოსახლეობაში სწორად განაწილდეს კომბინირებული და სხვა საკვები, საძოვრები, ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ მშრომელებს საჯიშე პირუტყვის, ფრინველის შეძენაში.

საბჭოთა ორგანოების, დეპუტატებისა და მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მხარეა ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ და ამ წესრიგის დაცვა. ამ ბოლო დროს მთელიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები და სიხშირის სამართლის დანაშაულის რაცხვი შემცირდა. საკმარისია ითქვას, რომ ბევრ დასახლებულ პუნქტში მთელი 1970 წლის მანძილზე არ ყოფილა სერიოზული დანაშაული არც ერთი ფაქტი. მაგრამ, მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა მთელ რიგ სოფლებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ქურდობა, სახელმწიფო ქონების და მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცება, ხულიგნობა, მეერთამეობა და სხვა დანაშაულობანი. მომხსენებელს მოჰყავს ამ სამარცხვინო საქციელის კონკრეტული მაგალითები და ხაზს უსვამს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობას ყოველნაირი დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღკვეთაში.

სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობა კანონების განხორციელებისა და დაცვის საქმეში იმდენად მრავალფეროვანია, რომ თვითეულ მის მხარეზე შეჩერება შეუძლებელია. მინდა აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ კანონის, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვა საბჭოების კონსტიტუციური მოვალეობაა. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია, როცა ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭო და მათი აღმასკომები არღვევენ კანონებს, გამოაქვთ არასწორი დადგენილებანი. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოების აღმასკომების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ცუდად ერკვევა კანონმდებლობის შესაბამის საკითხებში.

ამხ. ჯავახიშვილი თათბირის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს სასოფლო მშენებლობის საკითხებს. ამ ბოლო წლებში სოფლად, თქვა მან, მიმდინარეობს დიდი მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ ხუთწლედში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, სახელმწიფო სესხების გამოყენებით, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა პირადი დანაზოგებით სოფლად აშენდა 3.100 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა ხუთწლედში აშენებულ საცხოვრებელ ფონდს. ამავე პერიოდში სოფლად აშენდა 318 სკოლა 91.600 მოსწავლისათვის, აქედან 123 სკოლა 25 ათასი მოსწავლისათვის კოლმეურნეობათა სახსრებით აშენდა. განვლილ ხუთ წელიწადში აშენდა 1.121 კილომეტრი სიგრძის 152 კოთპერირებული და სოფლის წყალსადენი.

ახლა თითქმის არ არის რაიონი, სადაც ფართოდ არ იყოს გაშლილი სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაგა-ბაღების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, ბინებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა. ხატოვნად რომ ვთქვათ, მთელი ჩვენი რესპუბლიკა ერთ დიდ საშენებლო პოლიგონად გადაიქცა.

ამავე დროს სასოფლო მშენებლობაში ბევრი ნაკლია. სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, სხვა სამინისტროები და უწყებანი, რომლებიც მშენებლობას ეწევიან სოფლად, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ვერ უზრუნველყოფენ გამოყოფილი სახსრების მთლიანად ათვისებასა და ობიექტების დროულად ჩაბარებას საექსპლოატაციოდ. ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის მომსახურების დონე. განსაკუთრებით ჩამორჩება საყოფაცხოვრებო მომსახურება მაღალ მთის რაიონების სოფლებში. ამ საკითხებს მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მივაპყროთ.

წინა ხუთწლედში დიდი მუშაობა განხორციელდა სოფლად ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის. ამ საქმეში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა. ასეთია მაგალითად, თერჯოლისა და სამგორის სადაბო საბჭოები, ენისელის, ქვიტა საზანისა და სხვა სასოფლო საბჭოები, რომლებიც აღმასკომების სესიებსა და სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხებს, ახორციელებენ ბევრ სასარგებლო წამოწყებას, ეკავშირის სისტემაში სასოფლო და სადაბო საბჭოების ხელშეწყობითა და დახმარებით ხუთწლედში აშენდა და ექსპლოატაციოდ არის გადაცემული 1.660 ახალი ობიექტი და საზოგადოებრივი კვების ობიექტი. კოოპერაციული ვაჭრობის მოცულობა სოფლად წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 62,6 პროცენტით.

მაგრამ სოფლად ვაჭრობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სასოფლო და სადაბო საბჭოებმა ეკავშირის ორგანოებთან ერთად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, მეილეობა ზომაწონაში მოტყუების ფაქტები, დროულად მიიტანონ მაღაზიებში საქონელი, რაც საკმაო რაოდენობით არის ბაზებში.

ჯერჯერობით ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ეს საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. აქ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზაზე.

მომხსენებელმა დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ უნდა გაუმჯობესდეს საავადმყოფოების, საშობაოთა სახლების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, საექიმო პუნქტებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა ობიექტების თუნაობა. აღმასკომებმა, დეპუტატებმა, ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა ჭირსონალმა უნდა გააძლიერონ სანიტარული წესების პროპაგანდა მოსახლეობაში. საჭიროა მოწესრიგდეს ნაგვისა და უწმინდურობისაგან სოფლებისა და დაბების გაწმენდის საქმე, უზრუნველყოფილ იქნას სანიტარული კვანძების დამუშავება, იქ, სადაც ეს საჭიროა, მოეწყოს წყლის ქოლორით გაწმენდა, განხორციელდეს საამბულატორიო-პროფილაქტიკური ღონისძიებანი მოსახლეობაში, აუცილებელია ბავშვების, დროულად გამოავლინონ კუჭ-ნაწლავის დაავადებანი და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა შემთხვევების განმეორება, რაც განვლილ ზაფხულში მოხდა. ცნობილია, რომ ამ დაავადებათა გამომწვევებს შეუძლიათ იჩინონ თავი ხელმეშეყობ პირობებში მოულოდნელ მომენტში.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო სასოფლო და სადაბო საბჭოების ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცებას. აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილი, გაუმჯობესდა თვით ბიუჯეტების შესრულება. თუ 1968 წელს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი ვერ შეასრულა სასოფლო და სადაბო საბჭოების 17 პროცენტმა 1970 წელს ასეთი საბჭოების რიცხვი მხოლოდ 7,5 პროცენტი იყო. ბიუჯეტის გაჯანსაღების შედეგად სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების ხარჯზე გაფართოვდა სოფლის ახალგაზრდობის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლებთან არსებული მუსიკალური სასწავლებლებისა და ინტერნატების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, საექიმო და საფერშლო პუნქტების, საკულტურნარო უნებრის, საბავშვო სახლებისა და ბაგების, კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, კულტურისა და დასვენების პარკებისა და სხვა ობიექტების დაფინანსება (გარდა ხელფასისა).

სასოფლო და სადაბო საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა უფრო მეტად უნდა გააძლიერონ მუშაობა იმისათვის, რომ მათი ბიუჯეტები გადაიქცნენ ადგილობრივი საბჭოების ეკონომიური საქმიანობის ძირითად მატერიალურ-ფინანსურ საფუძვლად.

ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოებს საჭიროდაა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ქმედითი ყოველდღიური ხელმძღვანელობა. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ საბჭოებმა, წარმატებით შეასრულონ თავიანთი უფლება-მოსილებანი. უწინარეს ყოვლისა, სასოფლო და სადაბო საბჭოებს უნდა ეხმარებოდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე საბინისტროები და უწყებები, განსაკუთრებით კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ეკავშირი და სხვ.

გამოცდილება ადასტურებს, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები და მათი აღმასკომები წარმატებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს მაშინ, როცა ჯეროვან სიმაღლეზეა მათი ორგანიზატორული მუშაობა.

სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობისათვის ამ ბოლო ხანს დამახასიათებელია ის, რომ სულ უფრო მეტად მტკიცდება დემოკრატიული პრინციპები, ფართოვდება სესიების საქმიანობის სფეროები; სესიებზე გამოაქვთ მრავალფეროვანი საკითხები და ღრმად განიხილავენ მათ.

გაუმჯობესდა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თითქმის ყველა თავმჯდომარემ. სასოფლო და სადაბო საბჭოების მეტ-ნაწილ თავმჯდომარეს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ.

ბევრი თავმჯდომარე უკვე რამდენიმე ათეული წელია მუშაობს სასოფლო და სადაბო საბჭოებში და უნარიანად ხელმძღვანელობს მათ. სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის საქმიანობა კი მეტად რთული და მრავალმხრივია. მის ნიჭზე, ცოდნაზე, ადამიანურ თვისებებზე, ორგანიზატორულ უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. იქ, სადაც თამჯდომარე განათლებული და კულტურულია, გამოირჩევა მაღალი მორალური და მოქალაქეობრივი თვისებებით, — საქმეც კარგად მიდის, ჯეროვან სიმაღლეზეა ყველა მხარე. სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, თქვა მომხსენებელმა ხალხის მასების ნამდვილი ხელმძღვანელობენ უნდა გახდნენ, ადამიანები მათგან უნდა იღებდნენ მაგალითს.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. თუმცა ეს გამონაკლისია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები მოქალაქისათვის შეუფერებლად იქცევიან.

ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო და სადაბო საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის მეთოდები და ფორმები. რეგულარულად ეწყობა სოფლის მშრომელთა შეკრებები, რომლებზეც განიხილავენ წარმოების, მშენებლობისა და სოფლის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ახლა აღმასკომები ანგარიშს აბარებენ არა მარტო დეპუტატებს, არამედ მოსახლეობის ფართო მასებსაც.

მნიშვნელოვნად აღინიშნა სესიების მომზადებისა და მოწყობის დონე. სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე საკითხების განხილვაში ფართო მონაწილეობას იღებენ როგორც დეპუტატები, ისე მუდმივი კომისიები და მრავალრიცხოვანი სოფლის აქტივი.

გაუმჯობესდა მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობაც. ისინი სულ უფრო ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურისა და ყოფაცხოვრების საკითხებს. შარშან მუდმივმოქმედმა კომისიებმა მოამზადეს და საბჭოების სესიებისა და აღმასკომების განსახილველად შეიტანეს 20 ათასამდე დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭოს ორგანიზატორული მუშაობის დონე ჯერჯერობით ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან გამომდინარეობენ.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ბევრ აღმასკომში ჯერ კიდევ ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინ

ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი

მშრომელთა დეპუტატების საბჭო სოფელსა და დაბაში ყველაზე მაღალი და ავტორიტეტიანი ხელისუფლებაა თავის ტერიტორიაზე. იგი უზრუნველყოფს ხალხის ფართო მასებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ხელისუფლება, რომელიც ღიაა ყველასათვის, ყველაფერს აკეთებს მახის თვალწინ, მისაწვდომია მასისათვის, წარმოშობილია უშუალოდ მასისაგან, ხალხთა მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალოდ გამომხატველი ორგანოა — აი როგორ ახასიათებდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს ვ. ი. ლენინი.

საბჭოების ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა, როგორც ეს ცხადყო 26-27 იანვარს გამართულმა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურმა თათბირმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" გაზრდილმა უფლებამოსილებამ, უფლებებმა და მოვალეობებმა საშუალება მისცეს სასოფლო და სადაბო საბჭოებს ფუნქციონალურად გადაეწყვიტათ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საპირბოროტო პრობლემები, წარმატებით შეესრულებინათ პარტიისა და მთავრობის დავალებანი.

რესპუბლიკური თათბირის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო და სადაბო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

ქვემოთ მოგვყავს თათბირის მონაწილეთა გამოსვლები.

ვასრულებთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ", თქვა გორის რაიონის ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **კ. ზ. რაზმაძემ,** მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ მუშაობა. სასოფლო საბჭომ შარშან თავის სესიებზე განიხილა აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომისიათა წევრები. მათი ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, სავზაო მშენებლობის კომისიის წინადადებით აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება გზების კეთილმოწყობისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ, რაც შესრულდა კიდეც. ამაღლდა თვითეული დეპუტატის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. აღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დეპუტატთა ინიციატივის გაშლას, მხარს უჭერს სასარგებლო თაოსნობას, რომელიც ამობრრევლთა წინადადებებიდან გამომდინარეობს. დეპუტატთა ინიციატივით გაყვანილია ნახევარი კილომეტრი საკრძის ფესვსადენი, აშენდა დაწყებითი სკოლის შენობები, ბიბლიოთეკები, მაღაზიები და სხვ.

ჯერ კიდევ 1968 წლის მარტში მოეწყო სოფლის შეკრება, რომელზეც გადავწყვიტეთ გაგველამაზებინა და მოგვეწყო სოფლები, შეგვეკეთა ამ სოფლებში სანიმშო სანიტარიული პირობები. ამ ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურა რაიონის ბევრი სოფელი და ახლა უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

ორატორმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი შენობები, იგრეთვე საცხოვრებელი სახლები შენდებოდეს მხოლოდ არქიტექტორთა პროექტებით. მან აღნიშნა, რომ სასოფლო მშენებლობის პერსპექტიული გეგმების უქონლობა ბევრად უშლის ხელს მუშაობას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სახმშენსა და შესაბამის საპროექტო ორგანიზაციებს დაეკავალოთ სოფლების განაშენიანების პერსპექტიული გეგმების შედგენა.

რაიონში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანია ხილის წარმოებაში, დიდი ყურადღება ეთმობა ხარისხოვანი ხილის დაბზიდვას, ხილს ვამზადებთ არა მარტო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, არამედ ვყიდულობთ მოსახლეობისაგანაც. ამიტომ ინდივიდუალური ბაღების მოვლა-პატრონობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო საბჭოს სესიაზე გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ შმაქიმაკატნები მოგვეხერხებინა საკარმიდამო ნაკვეთები. იმისათვის, რომ ეს ღონისძიება მთლიანად განხორციელდეს რაიონში, საჭიროა დაგეგმაროს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

ტრიბუნაზეა მაიაკოვსკის რაიონის დმის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. თ. ცერცვაძე.** მან აღნიშნა, თუ რა ფართოდ გაჩაღდა სოფლად შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. ილაპარაკა იმაზე, თუ რას აკეთებენ სასოფლო საბჭოს აღმასკომი, დეპუტატები, რათა წარმატებით შესრულდეს სოციალისტური ვალდებულებანი.

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, აღნიშნა ორატორმა, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა მუშაობა. ეს საპროგრამო დოკუმენტი მოქმედებს სახელმძღვანელო გახდა. ახლა სასოფლო საბჭოში 62 დეპუტატია. მათ შორის არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, სკოლების მასწავლებლები, სპეციალისტები.

აღმასკომის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე რეგულარულად ვიხილეთ კოლმეურნეობებისა და „საწარმოების საქმიანობის საკითხებს, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზეა განლაგებული. ნაყოფიერად მუშაობენ სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები, სადაც თვით დეპუტატების გარდა მუშაობს ფართო აქტივი. მარტო შარშან ამ კომისიებმა მოამზადეს და სასოფლო საბჭოს სესიასა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად გამოიტანეს 25 საკითხი.

მუდმივმა კომისიამ გამოარკვია, რომ ახლად გაშენებულ ვენახებში არ ხორციელდება საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის გამოც დაიღუპა ნერგების ნაწილი. სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად აღმოფხვრილია ნაკლოვანებანი ვენახების მოვლა-პატრონობაში, მიღწეულია ვენახებში ნერგების გახარების ძალიან პროცენტი.

ორატორმა მოიყვანა სხვა მუდმივმქმედი კომისიების კარგი მუშაობის მაგალითებიც და აღნიშნა, რომ ისინი ბევრი სასარგებლო თაოსნობის გამტარებლები არიან, ხელს უწყობენ სოფლის მოსახლეობის ოჯახურ მატერიალური, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებას.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში, განაგრძობს ამბ. ცერცვაძე, ვიწრო ადგილად ჯერჯერობით კვლავ რჩება სუსტი კონტროლი საწარმოებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო-ფინანსური გეგმების შესრულებისადმი.

რაიონში ბევრი სასოფლო საბჭო მოთავსებულია საშუალად გამოუსადეგარ შენობებში. ახლა მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობების შენებლობა რამდენიმე სასოფლო საბჭოსათვის, მაგრამ მათი მშენებლობა ჭიანურდება სახსრების ნაკლებობის გამო. საჭიროა შესაბამისი სახსრები გამოიყოს და მშენებლობა დაეკალოს ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მათ მოკლე ვადებში დამთავრებენ.

სიტყვას ამბობს მახარაძის რაიონის ასკანის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. ი. შეწირული.** ჩვენი სასოფლო საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი არიან, თქვა მან, მოწინავე კოლმეურნეები, მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათი საქმიანობა მუდამ საბჭოს აღმასკომის ყურადღების ცენტრშია. სესიებზე ხშირად ვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორიც არის დეპუტატების მიერ თავიანთი მოვალეობათა შესრულება. ამომრჩეველთა განაწესის შესრულება მშრომელთა ცხოვრების პირობების შემჯობინების, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულების საწინდარია.

დეპუტატები რეგულარულად ანგარიშს აძლევენ ამომრჩეველებს გაწეული მუშაობის შესახებ, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული მშრომელთა უფართოეს მასებთან, სულ უფრო მეტად სრულყოფენ თავიანთი საქმიანობის სტილს.

1957 წლიდან ჩვენთან მუშაობს სოფლის აქტივის ორწლიანი სკოლა. ამ სკოლაში სწავლობს 25 დეპუტატი და 20 აქტივისტი. მეცადინეობა წარმოებს აღმასკომის სხდომაზე დამტკიცებული თემატიკით. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ სოფლის მოწინავე ადამიანები. — კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები. სკოლა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს იმაზე, რომ დეპუტატებმა შეისწავლონ ცხოვრების საპირბოროტო საკითხები.

მაგალითად, დეპუტატ ნ. ჯაველიძის წინადადებით შეიქმნა სოფლის მუზეუმი, შეგროვდა მასალები და ექსპონატები. ამ დღეებში მუზეუმი გაიხსნება. დეპუტატ ქ. ნაცვალაძის ინიციატივით შეკეთდა სასოფლო გზა. შეიძლება მოვიყვანოთ დეპუტატებისა და სოფლის აქტივის აქტიური მუშაობის სხვა მაგალითებიც. სასოფლო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა როდი იფარგლება მარტო დეპუტატთა წინადადებების განხორციელებით. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ იმას, რომ კოლმეურნეობები ასრულებდნენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებსა და ვალდებულებებს, სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას, მოხარდი თაობის აღზრდას. საამაყოთ შემიძლია განვაცხადო, რომ უკვე ათი წელია ჩვენს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში არა ყოფილა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. სასოფლო საბჭო იყო სანიმშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის რაიონის სოფლების შეჯიბრების ინიციატორი.

ორატორმა თქვა, რომ სასოფლო საბჭოს უნდა დაეხმარონ საწარმო მასალებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. ახლა ბევრს უნდა სახლების აშენება, მაგრამ ვერ აშენებს ხე-ტყის, შიფერის, ცემენტის ნაკლებობის გამო.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ვ. გ. ბოჭორიშვილი.** მან თქვა, რომ თანამედროვე პირობებში სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების დაცვა ყველა საბჭოთა ადამიანის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ამას უწინარეს ყოვლისა ყურადღებას უნდა უთმობდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები.

შარშან ზაფხულში ჩვენს რესპუბლიკაში იყო კუპნაწლავის დაავადებათა შემთხვევები. მიღებულ ეფექტად ღონისძიებათა შედეგად ეს დაავადება უმოკლეს ვადაში დავამარცხეთ.

მაგრამ არ უნდა დავიივიწყოთ, რომ ამ დაავადებათა აღმძვრელები ძალიან სიცოცხლისუნარიანი არიან. გარდა ამისა, კომუნიკაციის საშუალებანი ახლა იმდენად განვითარდა, რომ ერთ საათში შეიძლება დიდი მანძილის დაფარვა და ინფექციის შემოტანა. ამიტომ ჩვენს უბრალოდ ამოცანად მოგვანიჭა ამგვარი მდგომარეობის ყოველგვარი შესაძლო გამეორების ლიკვიდაცია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ, უკლებლივ ყველა ქალაქში, ისევე როგორც დაბებსა და სოფლებში, დაიცვათ სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

საიდუმლო როდია, რომ კუპ-ნაწლავის დაავადება ეს არის ბინძურიანი ხელის დაავადება. ეს უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო. ამიტომ საჭიროა განვახორციელოთ სოფლებისა და დაბების ჭუჭყისა და ნაგვისაგან გაწმენდის ღონისძიებანი, მოსახლეობას წინადადება მივცეთ დაასუფთაოს თავისი ეზოები, მოსახლეობა უზრუნველვყოთ სუფთა სასმელი წყლით, განვახორციელოთ ღონისძიებანი იმ ავადმყოფების გამოსავლენლად და ჰოსპიტალიზაციისათვის, რომლებსაც კუპ-ნაწლავის მწვავე დაავადების ნიშნები აქვთ, მკაცრად დავიცვათ სანიტარიული რეჟიმი.

ამ მხრივ დიდი მუშაობა უნდა შეასრულონ არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, არამედ ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა დეპუტატებმა, სოფლის აქტივმა.

პარტიამ და მთავრობამ ახლა აიღეს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის დაახლოების კურსი. ამ მიზნით სოფლებში უქმდება პატარა საავადმყოფოები და იქმნება დიდი საავადმყოფოები, რომლებშიც არის ყველა პირობა, რათა ავადმყოფებს უმკურნალონ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საჭიროა აგრეთვე შეიქმნას ყველა პირობა სოფლად ახალგაზრდა ექიმების მუშაობისათვის.

აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდად ეხმარებიან ადგილობრივ საბჭოებს, მათ მრავალმხრივ საქმიანობაში, თქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ლ. მ. დავითაძემ.** „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ კანონის მიღების შემდეგ, აჭარის ადგილობრივმა საბჭოებმა დიდი მუშაობა გაგაწიეს. მათი ყურადღების ცენტრშია მოსახლეობის მზარდ საჭიროებათა დაკმაყოფილება, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობა, კონტროლი საწარმოების, კოლმეურნეობების, სპეციალური მეურნეობების საქმიანობისადმი.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის ეწყობა სპეციალური სემინარები. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიები რეგულარულად ამოწმებენ მათ საქმიანობას.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ სოფლის ცხოვრების ყველა მხარეში.

საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი იყო ის, რომ აჭარის ასს რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა როგორც ხუთწლიანი გეგმა, ისე 1970 წლის გეგმაც. შარშან მოვიწ ეიო ციტრუსოვანთა უმაღლესი მოსავალი, ბევრი ჩაის ფოთოლი გაიგზავნა გაღასამუშავებლად.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები თვითონ უჩვენებენ შრომის მაგალითს, მეთაურობენ ბევრ სასარგებლო წამოწყებას. ორატორს მოჰყავს იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ უწყობენ ხელს ხალხის რჩეულები სოფლის კეთილმოწყობას, საპირბოროტო პრობლემები გამოაქვთ აღმასკომის სესიებსა და სხდომებზე, ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, როცა საქართველოს მშრომელები ემზადებიან რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად, სასოფლო და სადაბო საბჭოების, მათი აღმასკომებისა და დეპუტატების საქმიანობა უფრო მრავალმხრივი გახდა. სოფლად გაიშალა ფართო პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ეწყობა ლექციები, მოხსენებანი, კითხვა-პასუხის საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები.

რაიონებში მოეწყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის მოწინავე მუშაკთა შეკრებები. შეკრებებზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ უველგან სათანადო დონეზე არა დგას სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურება. დეპუტატებმა ეს ყურად იღეს და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

იმაზე, თუ რა მუშაობა წარმოებს დაბა აბასთუმანში, ილაპარაკა ადიგენის რაიონის აბასთუმნის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ა. ჩერქეზიშვილმა.** ჩვენი საბჭოს საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ. გაფართოვდა იმ საკითხების წრე, რომლებსაც სასოფლო საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ვიხილავთ, ამაღლდა დეპუტატების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გაძლიერდა მათი კონტაქტი ამომრჩეველებთან.

ახრულებენ რა ამომრჩეველთა განაწესებს, დეპუტატები ვ. გეგენავიძე, ტ. ბერიძე, ო. ჭმილანდარი და სხვები იყვნენ დაბის კეთილმოწყობის ინიციატორები. მათი ინიციატივით მოეწყო ბავშვთა მოედანი, ავტოსადგურში გაიკეთა წყალსადენი, აშენდა მუსიკალური სკოლის, საკურორტო პოლიკლინიკის, საქმობიაო სახლის ახალი შენობები და სხვ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოს მუდმივი კომისიები, რომელთა მუშაობაში ფართოდ მონაწილეობს აქტივი. მარტო შარშან კომისიებმა მოამზადეს და საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომების განსახილველად გამოიტანეს 22 საკითხი.

ჩვენი სადაბო საბჭოს მუშაობის სპეციფიკა ის არის, რომ აბასთუმანი სრულიად საკავშირო კურორტია. საბჭოს დეპუტატები ყოველ დონეს ხმარობენ, რათა დამსვენებლები ფართოდ სარგებლობდნენ ბუნების სიკეთით, რომ მათ უწევდნენ კვალიფიციურ ბუნებიერნო, დახმარებას. დეპუტატები მორიგეობენ სანატორიუმებსა და პანსიონატებში, იწერენ მშრომელთა წინადადებებს, ეხმარებიან მათს განხორციელებაში.

სიტყვის დასასრულს ამბ. ჩერქეზიშვილი შეეხო სიძნელეებს, რომლებიც მუშაობაში ხვდებათ. ეს სიძნელეები ის არის, რომ დასახლებული პუნქტები ერთმანეთისაგან დაშორებულია და მათთან კავშირისათვის საჭიროა ტრანსპორტი.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **კ. კ. ჯოლევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაიზარდა სასოფლო და სადაბო საბჭოების ავტორიტეტი, ილაპარაკა მათს მრავალმხრივ საქმიანობაზე. მნიშვნელოვნად გაძლიერდა საბჭოების გავლენა სამეურნეო საქმეებზე, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების დროულად შესრულებაზე, მიწის, ტექნიკის, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ წინა ხუთწლედთან შედარებით სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მოყიდვა გაზარდა 91 პროცენტით, ხილისა — 54, რძისა — 28, მაქრის ჯარხლისა — 27 და ხორცისა— 18 პროცენტით. ხუთწლედის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძალიანი წარმოება ფულადი გამოხატულებით გაიზარდა 1.345 ათასი მანეთით.

მარცვლეულის უხვი მოსავალი მოიწიეს ერედვის საბჭოთა მეურნეობამ, კეხვის, დმენისის, ოქმოსნის, ავნევის კოლმეურნეობებმა. ხილის უხვი მოსავალი მოიწიეს მუგუთის, ჩაბათეთისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების წარმატებითი საქმიანობის, საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებთან და კოლმეურნეობათა გამგეობებთან მათი მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. მარტო შარშან სოფლებში არეკეში, ერედვში, თამარაშენში, ვეკუანაში გაიხსნა საყოფაცხოვრებო სამსახურისა და ცხინვალის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის სხვადასხვა ობიექტი.

ამ ბოლო დროს საბჭოების საქმიანობაში დამახასიათებელი გახდა საბჭოების სესიებზე აქტუალური საკითხების განხილვა, დეპუტატების ანგარიშები ამომრჩეველთა წინაშე, მუშაობა ახალგაზრდა დეპუტატებთან და სასოფლო ყრილობები, რომლებიც უკვე ტრადიციული გახდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ადგილობრივმა საბჭომ როდი გარდაქმნა თავისი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. გვაქვს ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ სუსტად ვსწავლობთ და განვაზოგადებთ მოწინავე საბჭოების გამოცდილებას.

თავის გამოსვლაში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ბ. ვ. შინკუბამ** ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში არის მშრომელთა დეპუტატების 107 სასოფლო და სამი სადაბო საბჭო, რომელთა შემადგენლობაში არჩეულია ოთხი ათასზე მეტი დეპუტატი. ეს პატარა ძალა როდია. მათი აქტიური მონაწილეობით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმები. განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სოფლად ამოქმედდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 68 ობიექტი. 1970 წელს კაპიტალურად შეკეთდა სამკურნალო დაწესებულებათა 18 შენობა, 25 კლუბი და ბიბლიოთეკა.

ორატორმა მოიყვანა დურიფშის, ახალსოფლის, ჭლოუს, ბესლახუნის, ლაბრის, ოხურეის, ვლადიმროკის, გულრიფშის, თაგილნის, დიხაშურგის, ალაგეპის, ლესელიძის სასოფლო საბჭოების, აგრეთვე ახალი ათონის სადაბო საბჭოს აქტიური საქმიანობის მაგალითები.

საბჭოების საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მათ მიერ გაწეულ აზეთ ამოცანებთან. სასოფლო- სადაბო საბჭოების შემადგენლობაში შექმნილია 718 მუდმივი კომისია, მათი მონაწილეობით სესიაზე განსახილველად მომზადდა 600 საკითხი.

დეპუტატები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესი, გაუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება.

ამასთან ერთად ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭო ჯერ კიდევ სრული ძალით ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ინფორმაცია სექციათა მუშაობის შესახებ. სექციების სხდომაზე განხილულ სოფლის ცხოვრების სარსებო საკითხები, დასახეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის გზები.

შემდეგ განახლდა კამათი ამბ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო.

ეს წელი ისტორიაში შევა როგორც ლენინური იუბილეს წელი, თქვა მესტიის რაიონის კალის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ლ. მარგველანმა.** ჩვენს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მშრომელებმა საიუბილეო წელი დიდი წარმატებებით აღნიშნეს, ახლა კი იბრძვიან პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი აქტიურად მუშაობს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, ხელს უწყობს იმას, რომ კოლმეურნეებმა შეასრულონ გეგმები და ვალდებულებანი.

მესტიის რაიონი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მთის რაიონია. ეს ადგილობრივი საბჭოს მუშაობას განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს. სოფლის აქტივი ბევრს ზრუნავს გზების მშენებლობისათვის, კომუნიკაციის საშუალებათა გაუმჯობესებისათვის. ახლა ჩვენთან რეგულარულად დაფრინავენ თვითმფრინავები, რესპუბლიკის სხვა რაიონებთან დაკავშირებული ვართ გზატკეცილებით. მაგრამ გზებს მუდმივი მოვლა სჭირდება. საჭიროა, რომ საავტომობილო ტრანსპორტისა და საავტომობილო გზების სამინისტროებმა რაიონში არსებული თავისი ორგანიზაციები უზრუნველყონ შესაბამისი მექანიზმებითა და მოწყობილობით, რათა გზები სანიმშო მდგომარეობაში იყოს.

სიტყვას ამბობს ყაზბეგის რაიონის სნოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ვ. ღუდუშაური.** მან თქვა, რომ სასოფლო საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, შარშან სოფელ სნოს კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით ააშენა საშუალო სკოლა, რის მეოხებითაც განხორციელდა ერთცვლიანი მეცადინეობა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სკოლაში. ამომრჩეველთა განაწესით აშენდა ორი კაპიტალური ხიდი. ელექტროფიცირებულია მაღალი მთის სოფლები, დამთავრდა წყალსადენის ორასის მშენებლობა. ამ დღეებში ამოქმედდება კულტურის სახლი. მწყემსებისათვის აშენდა საცხოვრებელი სახლები ყიზილარის ზამთრის საძოვრებზე. ეს არის იმ გარდაქმნათა არასრული ნუსხა, რომლებიც ოდესღაც მოგდებული და ჩამორჩენილი სოფლების ცხოვრებაში მოხდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა ჯეროვნად არ ზრუნავენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის. ეს საკითხები განიხილა სასოფლო საბჭომ სესიაზე. ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

წალკის რაიონის ბეშთაშენის სასოფლო საბჭოს ყურადღების ცენტრში, თქვა ამ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ე. გ. კარიგეზოვმა,** მუდმივად არის სოფლის მშრომელთა კულტურის ამაღლების, მიწების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების ეფექტიანად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გაღიდების საკითხები. სასოფლო საბჭო სოფლის მშრომელებს ეხმარება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებებისა და მოვალეობების გაფართოების კანონის მიღების შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის სხდომებზე უფრო მარადან იხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს, ჩვენი დახმარებით ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობამ მოგვიანო დაამთავრა 1970 სამეურნეო წელი. სოფლებში გაფართოდა საავიერო საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელი. აშენდა ორსართულიანი უნივერმაღი და სასადილო. კაპიტალურად შეკეთებულია ორი საშუალო სკოლა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

ვენახები, ხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები საქართველოს დამამშვენებელია, თქვა გამოსვლაში საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა **ი. ე. ნონეშვილმა.** ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი რესპუბლიკა სახელგანთქმულია დიდებული მთებისა და აუვალებული ველების განუმეორებელი სილამაზით, შესანიშნავი ადამიანებით.

ქართველი მწერლები მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოფლის ცხოვრების ასახვას. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახლახან თელავში გაიმართა მწერალთა კავშირის გამსვლელი პლენუმი, რომელზეც გულსაფიცარად ვისაუბრეთ სოფლის საჭიროებების შესახებ, იმაზე, რომ უფრო მეტი იწერებოდეს სოფლის თემაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მწერლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვან 50 წლისთავს შეხვდებიან ახალი წიგნებით, ახალი მაღალხატოვანი ნაწარმოებებით, რომლებშიც ასახავენ სოციალისტური სოფლის ცხოვრებას. ბევრ სოფელში გაიმართება ლიტერატურული საღამოები, პოეზიის დღესასწაულები.

ბუნების სიმდიდრეთა დაცვა და გამრავლება, თქვა ორატორმა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი ტყეების ფართობი წლითიწლობით სულ უფრო დიდდებოდეს. როგორც ცნობილია, საბჭოთა საქართველოს იუბილესათვის უნდა დავრგოთ 50 მილიონი ხე, და ამ საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდოთ.

ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ო. ფ. ანთია,** შეეხო რაიონის სასოფლო საბჭოების ამოცანებს, და ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ ბევრი საპირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში. ახლა რაიონის 26 სასოფლო საბჭოში ნაყოფიერად მუშაობს 981 დეპუტატი. ესენი არიან მოწინავე კოლმეურნეები, მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამაღლდა სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არსებული მუდმივი კომისიების როლი. ისინი აყენებენ და წყვეტენ სოფლის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

სასოფლო საბჭოები, რომლებიც ამრულებენ ნაბრძანებულ უფლებებს, ნაყოფიერად მუშაობენ სამეურნეო და კულტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის. მაგალითად, კოლმეურნეობათა საწარმოო-ფინანსური გეგმების განხილვის დროს ინგირის, ჭკადუაშის, ქახათის, რუხის, ოქტომბრისა და სხვა სასოფლო საბჭოებმა შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სოფლების კეთილმოწყობას, გზების მშენებლობას, შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას და სხვ.

პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი სისტემატურად სწავლობენ და იხილავენ საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებს, ზრუნავენ იმისათვის, რომ მათ შეუქმნან ნაყოფიერი საქმიანობის პირობები.

სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეულნი არიან სოფლის საუკეთესო ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთ ტერიტორიაზე მუშაობის პირობები, ერკვევიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და შეუძლიათ გაკლენა მოახდინონ საპირბოროტო საკითხების გადაწყვეტაზე.

წყალტუბოს რაიონის მაღლაკის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, თქვა ამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯ

მსოფლიო დღეს

ყურადღების ცენტრში

ნიუ-იორკი. შეერთებულ შტატებში დიდი ინტერესით შეხვდნენ საკოსმოსო ცნობას „ვენერა-7“ საბჭოთა ავტომატური საკავშირო ინტერპლანეტთაშორისო სადგურის კოსმოსური ექსპერიმენტის შედეგების შესახებ.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა დ. ლოუმ პრესისათვის გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ „ვენერა-7“-ის წარმატებით დაჯდომა პლანეტა ვენერას ზედაპირზე და ამ საღგურიდან დედამიწაზე სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გადმოცემა „მოწმობს საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიღწევას“.

პარიზი. დღეს პარიზის ყველა გაზეთი დიდი სათაურებით მეჯდავს ცნობებს „ვენერა-7“ საბჭოთა საკავშირო ინტერპლანეტთაშორისო სადგურის შედეგების შესახებ.

„ეს არის სსრ კავშირის — პლანეტების ავტომატური ათვისების ჩემპიონის — დიდი წარმატება“, — წერს გაზეთი „ორორი“. გაზეთი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საპლანეტთაშორისო ავტომატური სადგურების ფრენას კოსმოსური სივრცის შემდგომი ათვისებისათვის და წერს, რომ საბჭოთა სადგურების კონსტრუქცია მარტივი და საიმედოა.

ლონდონი. „კოსმოსური ტრიუმფი“ — ასეთ შეფასებას აძლევს გაზეთი „დეილი სკეტჩი“ „ვენერა-7“-ის სამეცნიერო კვლევის შედეგებს. „კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწაზე გადმოსცა სიგნალები საიდუმლოებით მოცულ პლანეტა ვენერადან, — წერს დღეს „სანი“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამ ექსპერიმენტის წარმატების შედეგად „საბჭოთა კავშირმა ბევრად გაუსწრო ამერიკელებს პლანეტების კვლევაში“.

ბონი. „კელნერშტადტ-ანცაიგერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პირველად მსოფლიოში დედამიწამ მიიღო რადიოსიგნალები მზის სისტემის სხვა პლანეტის ზედაპირიდან“. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგე“ ხაზს უსვამს, რომ დაჯდომის შემდეგ სადგური სიგნალებს გზავნიდა 23 წუთის განმავლობაში. (საკდესი).

საზღვარგარეთის გაზეთები ეხმაურებიან საბჭოთა კოსმონავტიკის ახალ წარმატებას

მდგომარეობა უგანდაში

ნაირობი

28 იანვარი. (საკდესი). როგორც კამპალიდან იუწყებიან, უგანდის ახალი სამხედრო რეჟიმის მეთაურმა გენერალ-მაიორმა იდი ამინმა გაანცხადა, რომ განზრახული აქვს შესთავაზოს ყოფილი მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთ წევრს, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტ ბაბიილს, დაარჩინენ ახალ მთავრობაში, რომლის შედგენასაც უახლოეს დღეებში აპირებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი, მისი თქმით, ვაკანტური დარჩება ახალი საყოველთაო არჩევნების მოწყობამდე.

არჩევნების მოწყობის დაყოვნება, ამტკიცებს უგანდის რადიო, იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამო არმიის ოფიცრებმა გადაწყვიტეს ხელში აეღოთ ძალაუფლება.

უგანდის შეიარაღებული ძალებისადმი მიმართვაში, რომელიც კამპალის რადიომ გადასცა, მოყვანილი იყო მთელი რიგი მოსაზრებანი, რომლებმაც აიძულეს არმია ჩარეულიყო სახელმწიფოს საქმეებში. კერძოდ, ამ მიმართვაში აღნიშნული იყო ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, სასურსათო საქონლის გაძვირება, გადასახადების ზრდა და სხვ.

დღეს კამპალის რადიომ გამოაცხადა არმიის სარდლობის ბრძანება, რომლითაც ყველა სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა განკარგულება დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თავიანთ ყაზარმებში.

დიუსელდორფი

ძველ პოზიციებზე

28 იანვარი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყრილობის დღევანდელ საბოლოო სხდომაზე განიხილეს პარტიის ახალი პროგრამის პროექტის საგარეო-პოლიტიკური ნაწილი.

შესწორებით, რომლის გამო ყრილობაზე განსაკუთრებით მწვავე კამათი გაჩაღდა, შემოიტანეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციის „იუნგე უნიონის“ წინადადება, რომელმაც მხარი დაუჭირა ოდერ-ნოისეს საზღვრის ცნობას. გამოვიდა რა შესწორების დასასაბუთებლად ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში უნდა იხელმძღვანელონ არა ილუზიებით, არამედ რეალური ვითარებით. „იუნგე უნიონის“ შესწორება უარყვეს.

ყრილობამ მოიწონა პროგრამის პროექტი. მის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში ლაპარაკია მისწრაფებაზე, რომ გააუმჯობესონ ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. აღნიშნულია, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი წინააღმდეგია ძალის გამოყენებისა „ყველა ხალხის ურთიერთობაში“. მაგრამ პროგრამის ეს ნაწილი შეიცავს მოწოდებას განამტკიცონ ნატოს სამხედრო პოტენციალი და გაადიდონ ბუნდესვერის ძლიერება.



ციტრუსები დღეს ბანდში

ენინგრადი. მოსოვლიანეს გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეები. მათ ... ბანდარნის, ფორთოხლისა და ლიმონის უხვი მოსავლით გაახარეს სამშობლო. ჩვენი ქვეყნის ბევრი მოკავშირე რესპუბლიკისა თუ მხარის, სამრეწველო ქალაქების მშრომელთა სუფრას ამშვენებდა ქართული ნარინჯები.

მარტო ციტრუსებიდან მეურნეობამ შვიდასი ათასი მანეთი მიიღო. ნარინჯების ბაღებია მათი შემოსავლის მთავარი წყარო და ამიტომაც მეციტრუსეები ასე გულმოდგინედ პატრონობენ ამ მადლიან მცენარეებს.

საქართველოს შავზღვისპირეთში ახლა ჩვეულებრივი ზამთარია, დღისით თბილა, ღამით კი ყინავს. მეციტრუსეები ფრთხილობენ, რომ ციტრუსები არ მოიყინოს. ამ თეთრ ზოლებს ქვეშ ლიმონის ხეები ზამთრობენ. მეურნეობაში დროულად გადაეფარეს სითბოსმოყვარულ სუბტროპიკულ მცენარეებს პოლიეთილენის ფენიანი დოლბანდი. ახლა ლიმონის ხეებს ყინვა ვერაფერს დააკლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ წელსაც უხვი მოსავალი იქნება.

სურათზე: ლიმონის ხეებს კომბინირებული საფარი იცავს ყინვისაგან ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. ბოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა)

— ვიღაცამ ისევ გაგვაკამკულა. როგორც ჩანს, ჩვენს საკუთარ ლაპარაკს ვუყურადებთ.

გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კარიკატურა.

ჩვენი ინტერვიუ

აპარატურა ჯანმრთელობის სამსახურში

ქართველ მედიკოთა წარმატება

ამას წინათ მოვიდა საბჭოთა სსრ კავშირის სახელმწიფო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარ მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი წინა წლებშიც დაჯილდოებული იყო გამოფენის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით, აგრეთვე საპატიო დიპლომით.

ამჯერად გამოფენაზე დემონსტრირებული იყო ექსპონატები (სამეცნიერო აპარატურა), რომლებიც შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით. ეს აპარატები და ხელსაწყოებია: ჰომეოსტაზის დამცავი ავტომატის მმართავი მოწყობილობა („გომეო-I“); სუნთქვის დოზირების ავტომატი-ინტეგრატორი („დოზა-III“); ცოცხალ ორგანიზმთა მოცულობის გამზომი კამერა მათი კუთვნილი წონის განსაზღვრისათვის („ვლმ-I“).

უკანასკნელი ორი ექსპონატი დემონსტრირებული იყო აგრეთვე პარიზში სსრ კავშირის სავაჭრო-საწარმოო გამოფენაზე 1970 წლის ივლისში და მოლებულია სსრ კავშირის სავაჭრო-საწარმოო გამოფენაზე ქ. ბაზელში (შვეიცარია) 1971 წლის ივლისისათვის.

ამ ექსპონატების ავტორები და შემსრულებლები დაჯილდოებული არიან: დ. გედევანიშვილი (ავტორი, წინათ დაჯილდოებული 2 საპატიო დიპლომით, ოქროს და ვერცხლის მედლებით) — ვერცხლის მედლით; გ. ეიდელმანი (ავტორი, წინათ დაჯილდოებული 2 ვერცხლის მედლით) — საპატიო დიპლომით; გ. სუშჩენკო (ავტორი) — ბრინჯაოს მედლით; ვ. ფანცულაია (შემსრულებელი) — ბრინჯაოს მედლით; გ. ალექსანდროვი (შემსრულებელი) — ბრინჯაოს მედლით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა პროფესორ დ. გედევანიშვილს და სთხოვა გაეცნო მკითხველებისათვის ზემოთ აღნიშნული აპარატურის ძირითადი არსი, რაზეც მან შემდეგი უამბო:

ერთ-ერთი მოსსენიებული აპარატის — ჰომეოსტაზის დამცავი ავტომატის მმართავი მოწყობილობის — „გომეო-I“ დანიშნულებაა უზრუნველყოს ნარკოზის პირობებში ჩასატარებელი ქირურგიული ოპერაციების დროს სისხლის შემადგენლობის მუდმივობის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოთა ფუნქციების დაცვა.

საქმე ის არის, რომ ნორმაში ყველა ჩამოთვლილ პროცესს აწესრიგებენ თავის ტვინში მოთავსებული ნერვული ცენტრები იმგვარად, რომ ეს პროცესები მნიშვნელოვან რყევებს არ განიცდიან, მიუხედავად მრავალი ზეგავლენისა, რომელებსაც მუდამ განიცდის ცოცხალი ორგანიზმი.

ნარკოზული ნივთიერებანი დროებით გამოთიშავენ ხოლმე ნერვულ ცენტრებს, საჭიროა მათი მარეგულირებელი როლი შეასრულოს ხელსაწყომ. სწორედ ამ როლს ასრულებს მმართავი მოწყობილობა — „გომეო-1“, რომელიც დროულად აღრიცხავს ორგანიზმში მომხდარ ცვლილებას და მასთან შეფარდებით აამოქმედებს ამა თუ იმ ავტომატს, რომელიც გამოასწორებს დარღვეულ პროცესს: მაგალითად, სისხლში ჟანგბადის ნაკლებობის შემთხვევაში სათანადოდ გააძლიერებს ხელოვნურ სუნთქვას, ან სუნთქვის დოზირების ავტომატი-ინტეგრატორის („დოზა-III“-ის) დანიშნულებაა ადამიანის მიერ ჟანგბადის მოხმარების და ნახშირჟანგის გამოყოფის (გაზთა ცვლის) ინტენსივობის ზუსტი განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, გაზთა ცვლის ეს პროცესი სიცოცხლის საფუძველია, უიმისოდ შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლე. ამ პროცესის ნორმალური მიმდინარეობის ყოველი დარღვევა სიფათს უქმნის ორგანიზმს; და ეს პროცესი კი დარღვეულია სხვადასხვა დაავადებისას, რაც აუცილებლად საჭიროებს სპეციალური მკურნალობის, დიეტის და სხვ. დანიშვნას.



ასპარეზობათა პანორამა

● **კალათბურთი.** უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი შედგა 27 იანვარს რიგაში ადგილობრივი ვეფ-ისა და ტარტუს „კალევის“ გუნდებს შორის. წარმატება „კალევს“ ხვდა ანგარიშით 75:71.

● **ფარიკაობა.** ტალინში სტარტი აიღო სსრ კავშირის წლევანდელმა თასის გათამაშებამ. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები. ბრძოლაში პირველად ხმლით მოფარიკავეები ჩაებნენ. ამ სახეობაში უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ის წარმომადგენელი, ოლიმპიური ასპარეზობათა ორგზის ჩემპიონი მარკ რაკიტა.

● **სათხილამურო სპორტი.** პოლონეთში გრძელდება მეგობრული არმიების ზამთრის სპარტაკიადა. ბიატლონისტთა ესტაფეტა დამთავრდა პოლონელ მოთხილამურეთა წარმატებით. საბჭოთა ბიატლონისტები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მესამენი იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები.

დამთავრდა ასპარეზობა სათხილამურო ორბიდში. აქაც ჩინებულად გამოვიდნენ მასპინძლები. პირველობა მიიკუთვნა ს. გულიას, მეორე ადგილი — ი. გონსენიცს. საბჭოთა მოთხილამურე ა. ხაიგონენი მესამე იყო.

● **ფეხბურთი.** მოსკოვში მიმდინარეობს საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან და კოშკიდან წყალში ხტომაში. სტარტზე გამოვიდნენ ერომეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელი ქალები. სამივე სპორტზო ადგილი მოსკოველებს ხვდათ. ოქროს მცირე medალი მოიპოვა თ. სიფონოვამ, რომელმაც 113,88 ქულა შეაგროვა. მეორე იყო ვ. ბაკლანოვა — 103,15 ქულა, მესამე — ნ. კუზნეცოვა — 99,0 ქულა.

● **მძლეოსნობა.** ბრიანსკში დამთავრდა საზოგადოება „ტრუდის“ საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს ყურადღების ცენტრში იდგა ის მძლეოსნური სექტორი, სადაც თავი მოეყარათ ბირთვის მკურნალებს. აქ მონაწილეთა რიგებში იყო მსოფლიოში ყველაზე ლონიერი ადამიანი, აღიარებული შტანგისტი ვ. ალექსეევი. მან მისთვის უჩვეულო „იარაღი“ — ბირთვი ` მარცხენა ხელით კრა 16 მეტრსა და 18 სანტიმეტრზე და მეორე ადგილი დაიკავა. პირველი იყო ვოლგოგრადელი გ. ნეფედოვი — 17 მეტრი და 17 სანტიმეტრი. ვ. ალექსეევმა განაცხადა, რომ მძლეოსნობა მას ძალიან უწყობს ხელს საერთო მომზადებაში. როდესაც შეეკითხნენ, რატომ მარცხენა ხელითო, მან უპასუხა, მე ცაცია ვარო.

რაც შეეხება დანარჩენ სახეობებს, შედეგები ასეთია: ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ტ. კონდრაშოვამ — 6 მეტრი და 5 სანტიმეტრი, 3.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ი. ივანოვი (ორენბურგი) — 8 წუთი და 23,8 წამი.

● **ფეხბურთი.** საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც დაამთავრა ტურნე ბრაზილიაში, პერუს ეწვია. ლიმაში ფრანგი ფეხბურთელები შეხვდნენ მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირის მონაწილეს — პერუს ნაკრებს, რომელიც გამოდიოდა „უნივერსიტეტიოს“ კლუბის ალმით. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ფაქტები

● **არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის** პრეზიდენტმა ანვარ სადათმა დღეს აბდინის სასახლეში მიიღო საბჭოთა კოსმონავტები ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ა. ნიკოლაევი და ვ. სევასტიანოვი, რომლებიც ვიზიტად არიან აქ ეგვიპტის მთავრობის მოწვევით. ა. სადათმა ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას გადასცა ორდენი „ნილოსის ფარღული“.

● **ჩეხოსლოვაკიის** სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის კონფერენციაზე, მის შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი.

● **კავშირგაბმულობის** „ნატო-ბ“ სამხედრო თანამგზავრის გაშვება, რაც განზრახული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხელმეორედ გადაიდო მატარებელი რაკეტის კოფსულის განყოფილების სისტემაში უწესივრობის გამო. თანამგზავრი „ნატო-ბ“, რომლის გაშვებას აპირებენ „დელტის“ რაკეტით, „სახსრაფო კავშირგამბმულობის“ საშუალება უნდა იქნეს პარტნიორებს შორის ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში.

● **საფრანგეთის მოსახლეობა** 1971 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 51 მილიონ კაცს. 1970 წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი 480 ათასი კაცით გაზარდა.

საკდესი-ფრანს პრესი-ასოშიეიტედ პრესი.

რანგუნი

მეგადურები გადაარჩინეს

28 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა ტრალერმა „მეუპლანტნიმ“ ინდამანის ზღვის საერთაშორისო წყლებში გადაარჩინა ოთხი ბირმელი მეგადური, რომლებიც 20 დღის განმავლობაში მამაცურად ებრძოდნენ ზღვის სტიქიას.

საბჭოთა მეზღვაურები, რომლებმაც გემზე აიყვანეს ოთხი დაბარალებული მეგადური და მათ პირველი დახმარება გაუწიეს ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდენ, როდგან მეგადურებმა არ იცოდნენ ინგლისური ენა, საჭირო კი იყო გაერკვიათ, თუ რომელ ქვეყანას ეკუთვნოდნენ ისინი.

მეზღვაურებმა ამოწურეს ყველაფერი ენის ყველა შესაძლებლობა და შემდეგ მათ ეჩვენეს მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფო ალმები. მეგადურებმა ბირმის კავშირის ალმაზე მიუთითეს. ტრალერმა შეცვალა კურსი და გადარჩენილი მეგადურები ბირმის ნაპირებთან მიიყვანა.

იპოვეს ახალი ტომი

რიო-დე-ჟანეირო

28 იანვარი. (საკდესი). ამაზონის შტატის ჯუნგლებში აღმოაჩინეს ფერადკანიან ინდიელთა უცნობი ტომი. როგორც გაზეთი „ეორნალ დუ ბრაზილი“ წერს, ბრაზილიელ ინდიელთა ეროვნული ფონდის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ეს რაიონი გამოიკვლიეს, განაცხადეს, რომ მათ გაუვალ ჯუნგლებში ნახეს რუკაზე აღუნიშნავი ინდიელთა რამდენიმე დასახლება, რომლებიც მიმოფანტულია მდინარე ბაკაჟის ნაპირებზე. მათი მცხოვრებნი ინდიელები არიან.

ერთ დასახლებაში აღმოჩნდა ოთხმოცზე მეტი კაცი, სულ კი მკვლევარებმა ამ ტომის ხუთასამდე ინდიელი დაითვალეს. ამასთან, მათ მხოლოდ მამაკაცები ნახეს, და, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ისინი თურმე გულდასმით მალავენ ქალებსა და ბავშვებს.

მამაკაცებს ღია ფერის კანი აქვთ, საშუალო ტანისანი, ჯმუხები არიან, ქოალი წვერი აქვთ. ისინი მხოლოდ თევზსაკრავს ატარებენ.

ინდიელები ამზადებენ თიხის პრიმიტიულ ნაწარმს, ქვის იარაღს სანადაროდ და ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტს. ისინი ჭამენ სიმინდს, მანიოკას, შავ პილპილსა და მიწის თხილს, რომლებიც მოჰყავთ პატარ-პატარა დამუშავებულ ნაკვეთებზე.

ინდიელები ლაპარაკობენ ენაზე, რომელიც არა ჰგავს ინდიელთა არც ერთ ცნობილ კილოკავს. მეცნიერებმა ამ ტომის მცხოვრებლებს უწოდეს „ქვემო ასურინი“ ჯუნგლის იმ რაიონის მიხედვით, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ტელევიზია

29 იანვარი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „დოვჟენკო“, 12.25 — მხატვრული ფილმი — „სცენის ფიცარნაგზე“, 18.05 — ბავშვებისათვის — „კონცერტი, 18.30 — „ძიება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი მიძღვნილი სკკპ XXIV ყრილობისადმი — ლიტვის სსრ (გადმოცემა ვილნიუსიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. საელექტრადო კონცერტი, 21 35 — ციკლიდან — „დიადი წლების ქრონიკა“ — 1952 წელი, 21.55 — გადაცემა ციკლიდან — „კანონიერების სადარაჯოზე“, 22.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა მინიატურების სატელევიზიო თეატრი — „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

30 იანვარი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინონარკვევი, 11.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა ბავშვებისათვის „თამამშეთ ჩვენთან ერთად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.10 — კინონარკვევი, 12.35 — მხატვრული ფილმი — „მამაკაცებს ცრემლი არ შეშვენით“, 13.45 — „საესტრადო პანორამა“, 14.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოობიექტივი“ (განმეორებით), 16.15 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — წალკის რაიონი (განმეორებით), 17.05 — კინონარკვევი, 17.25 — ახალი ამბები, 17.30 — „მუსიკის სამყაროში“, 18.20 — კინონარკვევი, 18.35 — ციკლიდან — „დელეგატის მანდატით“, 19.05 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — მოსკოვი-თბილისი (ცენტრალური და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივი გადაცემა), 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი — „ირმის ნახტომი“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — მხატვრული ფილმი — „ერთი წლის ცხრა დღე“, 23.00 — „კინოხელოვანთა პორტრეტები“ — დ. წეროძე.

თეატრები

29 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში: გრიბოედოვის სახელობის — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დარისპანის გასაჭირი და უბედურება (№ 15 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

კინო

29 იანვარი

ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი — **ჩემპიონი მუსიკოსები, მულტფილმების კრებული; ოქტომბერი — ლიუბოვ იაროვაია; 26 კომისრის სახელობის** (მწვანე დარბაზი); ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კოლმეურნე — **უკანასკნელი რელიკვია;** გორკის სახელობის კულტურის სახლი — **მწვანე ძეწკვები; 26 კომისრის** სახელობის (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), ეკრანი, ვარძია — **ერთი ჩვენგანი;** ნაკადული — **ყველაფერი გასაყიდად;** თბილისი—**შვიდდღიანი ვადა;** თანამგზავრი — **თავდასხმა სარაევოში.**

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02735

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.